

საგანმანათლებლო რესურსები და მოსწავლეთა მიღწევები

ინგა ხუციშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

სსიპ ქ.თბილისის 82-ე საჯარო სკოლის ინგლისურის პედაგოგი.

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით უცხო ენის სწავლების პირველ ეტაპზე. ამ დროს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა თვალსაჩინოების და სახალისო აქტივობების შეთავაზება ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას. მოსწავლეები უფრო მეტად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო რესურსი, მოსწავლეთა მოტივაცია, მოსწავლეთა მიღწევები

21-ე საუკუნე არის პერიოდი, როდესაც ხდება ცვლილებები, აღმოჩენები როგორც ციფრულ ტექნოლოგიებში, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში. დღევანდელი მოსწავლე თავისი უნარებით და შესაძლებლობებით სრულიად განსხვავდება იმ მოსწავლისაგან, რომელსაც 10-15 წლის წინ შევხვდებოდით. შეიცვალა მიდგომები სწავლა-სწავლების მიმართულებითაც. ახლა მოსწავლეს თავად შეუძლია მოიძიოს უამრავი ლიტერატურა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე და გაეცნოს მას. ამ შემთხვევაში იზდება მასწავლებლის როლი და მნიშვნელობა. დღევანდელი მასწავლებელი არ არის უბრალოდ ინფორმაციის გადამცემი მოსწავლისათვის. ბავშვმა ამა თუ იმ საკითხის შესახებ მასალა დამოუკიდებლად შეიძლება მოიპოვოს. მასწავლებელს აქ ეკისრება სულ სხვა ფუნქცია. იგი უნდა ეცადოს მოსწავლეს საწყის ეტაპზევე ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ის უნარები და კომპეტენციები, რომლებსაც 21-ე საუკუნის უნარებს უწოდებენ ესენია:

- კრიტიკული აზროვნება.
- პრობლემების გადაჭრის უნარი.
- საკუთარი სწავლების მართვა
- კომუნიკაცია, თანამშრომლობა.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება
- შემოქმედებითობა და გამომგონებლობა
- მოქნილობა და ადაპტაცია

მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ, ერთი მხრივ, იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმით და, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესი იყოს საინტერესო, სახალისო, აქტიური და მრავალფეროვანი. მასწავლებელს სჭირდება უამრავი რესურსი, თვალსაჩინოება, რათა მასალა ამომწურავად მიაწოდოს მოსწავლეებს.

რესურსები კი უამრავია:

- სახელმძღვანელო
- ელექტრონული რესურსები
- სხვადასხვა თვალსაჩინოება
- აუდიო-ვიდეო მასალა
- ბუკი
- სურათები
- მოძრავი ანბანი და სხვა.

მით უმეტეს მაშინ, როდესაც გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით შემდეგი განმარტება კეთდება „...გრიფირებული სახელმძღვანელოები არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი სასწავლო რესურსი, რომელიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს. საგანმანათლებლო რესურსი შეიძლება იყოს დამხმარე ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება - ყველაფერი, რაც მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი შედეგების მიღწევაში. სახელმძღვანელოს არარსებობის პირობებში, მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს არსებული საგნობრივი სტანდარტით, პროგრამის შინაარსით და მასზე დაყრდნობით თავად უნდა მოიძიოს და მოამზადოს სასწავლო რესურსები.“

აქვე უნდა აღინიშნოს ის სირთულე, რომელსაც პრაქტიკოსი მასწავლებელი ხვდება გაკვეთილზე ინგლისური ენის სწავლების პროცესში. განსაკუთრებით კი პირველ და მეორე კლასებში. ერთი შეხედვით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგები არც თუ ძნელად მისაღწევია, თუმცა მას მაინც თან ახლავს მთელი რიგი სირთულეებისა.

სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ პირველი კლასის ბოლოს მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული წერა-კითხვის უნარ-ჩვევები სრულყოფილად, მაშინ როცა მეორე კლასში პროგრამის მიხედვით არის საკმად ბევრი ლექსიკური და გრამატიკული მასალა. რადგან გრამატიკის სწავლება იმ ფორმით, როგორცაც ის სახელმძღვანელოში არის მოცემული, არ არის რეკომენდებული და შეუძლებელიც კია, ამიტომ მასწავლებელს უხდება სასწავლო მასალის ადაპტირება იმგვარად, რომ მოსწავლეებისათვის მიწოდებული მასალა იყოს გასაგები და ადვილად აღსაქმელი.

თუმცა აქ მნიშვნელოვანი საკითხია ასევე მშობლის როლი. ინფორმაციის ნაკლებობა და არათანმიმდევრული ჩართულობა სასკოლო პროცესში, შეიძლება უარყოფითად აისახოს მოწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მოსწავლეს არ უნდა დავუსახოთ ისეთი მოლოდინები, რომელთა შესრულებაც მათი ასაკისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ძნელი მისაღწევია. რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეებს ექმნებათ შფოთისა და დაბნეულობის განცდა, უქვეითდებათ მოტივაცია, თუ პირველ კლასში ისინი სიხარულით სწავლობდნენ და ერთვებოდნენ საგაკვეთილო

პროცესში, უკვე მეორე კლასში ზოგიერთ მათგანს აქვს დაბალი თვითშეფასება, ეს კი პირდაპირ აისახება მათს აკადემიურ მიღწევებზე.

ინგლისური ენის სწავლების ძირითადი პრობლემები 1-2 კლასებში

- ❖ მოსწავლეები პირველ კლასში ერთდროულად შეისწავლიან მშობლიურ ენას უცხო ენასთან ერთად, ეს ბევრ მათგანში დაბნეულობას იწვევს.
- ❖ დიდი რაოდენობის ლექსიკური და გრამატიკული მასალა, რომელსაც სახელმძღვანელოში ვხვდებით.
- ❖ მოსწავლეთა დემოტივაცია.
- ❖ დაბალი თვითშეფასება.
- ❖ უცხო ენის სწავლების მიმართ მშობელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება.
- ❖ ხუთწლიანი მოსწავლეები.
- ❖ მაღალი მოლოდინები
- ❖ სოციალური გარემო.
- ❖ ტექნიკური და დამატებითი სასწავლო რესურსების ნაკლებობა სკოლებში.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით. რესურსების მოძიება დღესდღეობით დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს, რადგან საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით შეიძლება მოვიძიოთ ის დამატებითი ინფორმაცია თუ მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საგაკვეთილო პროცესში. ეს შეიძლება იყოს სურათები, ვიდეოები, ფილმი, თუ სხვა რამ. ინტერნეტი დღეს უკვე ხელმისაწვდომია ყველასათვის და მოსწავლეებს შეუძლიათ მოიძიონ მრავალფეროვანი მასალა ამა თუ იმ საკითხზე და სწავლაც უფრო სახალისო ხდება, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

რატომ არის სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენება

მნიშვნელოვანი?

- რესურსი ეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის უკეთ გაგებაში.
- არის მეტი თვალსაჩინოება.
- სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო.
- ხდება მოსწავლეთა მეტი ჩართულობა.
- იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.
- ხდება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

როგორ ვიმუშავოთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან :

1. პირველივე დღიდან შევუქმნათ მოსწავლეს დადებითი განწყობა საგნის მიმართ.
2. დავსახოთ რეალური მოლოდინები - მოსწავლეებს მივცეთ დავალებები მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. არც ისეთი ძნელი, რომლის შესრულებაც შეუძლებელია, და არც ძალიან ადვილი.
3. ყოველთვის წავახალისოთ მოსწავლეები, რათა მათ აჩვენონ თავიანთი მაქსიმუმი. ეს გაზრდის მათ მოტივაციასა და თვითშეფასებას.
4. გაკვეთილის მიმდინარეობისას გამოვიყენოთ რაც შეიძლება ბევრი სურათი, ნივთი, და სხვადასხვა აუდიო-ვიდეო მასალა, რათა სწავლის პროცესი სახალისო და საინტერესო იყოს.
5. სოციალური გარემოს გაუმჯობესება. მოსწავლეების ჯგუფებში, წყვილებში მუშაობა . ასეთი ურთიერთობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას.
6. სასურველია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება სხვადასხვა საგანთან.
7. თანამშრომლობა მშობლებთან.
8. თანამშრომლობა კოლეგებთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასურველი იქნებოდა I - II კლასებში მოსწავლეებს მოეთხოვებოდეთ მხოლოდ ზეპირი უნარ ჩვევების განვითარება და ამისათვის არსებობდეს შესაბამისი სახელმძღვანელო. გრამატიკული მასალის მიწოდება, ტექსტის კითხვის უნარების განვითარება კი უკვე შემდეგ საფეხურებზე ხდებოდა. თუმცა მანამდე საგანმანათლებლო რესურსების აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა მოტივირება და სწორი საკლასო მენეჯმენტი, მშობელთა ჩართულობა არის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების წინაპირობა .

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. უცხო ენების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
3. Resources for teaching Elementary school science , *By National Science Resources Center of the National Academy of Sciences and the Smithsonian Institution*
4. Husman, J., & Lens, W. (1999). The role of the future in student motivation. *Educational Psychologist*, 34(2), 113-125.